

ცვლილებები ძალაშია 2022 წლის 03 თებერვლიდან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-20 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) სანდო მონყობილობა წარმოადგენს ფლობის კატეგორიის ავთენტიფიკაციის ელემენტს, რომელიც შეიძლება იყოს მონყობილობა (მობილური მონყობილობა, კომპიუტერი და სხვ), რომელსაც კლიენტის მიერ მინიჭებული აქვს სანდო მონყობილობის სტატუსი და რომელიც გამოიყენება მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციისთვის კოდის სანაცვლოდ.“

2. „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-20 მუხლის მე-13 და 13¹ პუნქტებში შეიცვალა ვებ გვერდის მისამართი და ნაცვლად <https://online.procreditbank.ge/New> განისაზღვრა <https://online.procreditbank.ge>;

3. „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-20 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 25¹ პუნქტი:

„25¹. ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების რეგისტრაციისა და ძლიერი ავთენტიფიკაციის გარეშე, კლიენტს ეზღუდება სანდო მონყობილობის პირველადი აქტივაციის შესაძლებლობა. პირველადი აქტივაციის დრო შეადგენს ძლიერი ავთენტიფიკაციდან 24 საათს. სანდო მონყობილობის აქტივაციის ვადა შეადგენს 6 თვეს. ამასთან, სანდო მონყობილობით სარგებლობის სურვილის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, კლიენტის მიერ უნდა მოხდეს მისი TAN კოდის დადასტურებით განმეორებით აქტივაცია.“

4. „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-20 მუხლის 26-ე პუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„26. თუ კლიენტს გაუჩნდა ეჭვი იმისა, რომ მისი მომხმარებლის სახელი და პაროლი გახდა ცნობილი მესამე პირისთვის და/ან მისი TAN-ის და/ან ავთენტიფიკაციის კოდის საგენერაციო ელექტრონული მონყობილობა/საშუალება და/ან მობილური ტელეფონი იქნა მოპარული ან დაკარგული და/ან მის სანდო მონყობილობაზე წვდომა/საიმედლობა კომპრომეტირებულია, კლიენტი ვალდებულია დაუკავშირდეს ბანკს და მოითხოვოს მისი ინტერნეტ ბანკინგის ბლოკირება, ან შეუძლია თავად დაბლოკოს მისი მომხმარებლისათვის ინტერნეტ ბანკინგზე წვდომის უფლება ან სანდო მონყობილების დეაქტივაცია/ცვლილება ვებგვერდიდან: <https://online.procreditbank.ge>. თუ კლიენტმა არ აცნობა ბანკს მისი პაროლისა და/ან TAN-ის და/ან ავთენტიფიკაციის კოდის საგენერაციო ელექტრონული მონყობილობის (საშუალების)/მობილური ტელეფონის დაკარგვის ან სანდო მონყობილობის საიმედობის კომპრომეტირების შესახებ, ან ვებგვერდიდან: <https://online.procreditbank.ge> არ დაბლოკა ინტერნეტ ბანკინგზე წვდომა ან არ მოახდინა სანდო მონყობილობის დეაქტივაცია/ცვლილება, მაშინ კლიენტი სრულად პასუხისმგებელია იმ ზიანზე, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ინტერნეტ ბანკინგით ჩატარებული ოპერაციების შედეგად.

5. „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-20 მუხლის 26⁷ პუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„26⁷. ინტერნეტ ბანკინგით მომსახურების დაბლოკვა - თუ კლიენტს გაუჩნდა ეჭვი იმისა, რომ მისი მომხმარებლის სახელი და პაროლი გახდა ცნობილი მესამე პირისთვის და/ან მისი დიგიპასის, მობილური ტელეფონის და/ან TAN-ის/ავთენტიფიკაციის კოდის საგენერაციო სხვა ელექტრონული მონაცემების/საშუალებების დაკარგვის, სანდო მონაცემების საიმედოობის კომპრომეტირების შემთხვევაში, ასევე მომხმარებლის სახელის და პაროლის გამჟღავნების შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაბლოკოს ინტერნეტ ბანკინგი შემდეგი საშუალებით:

- დაუკავშირდეს ბანკის კონტაქტ ცენტრს წინამდებარე მუხლის 26⁶ პუნქტში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე 09:00 საათიდან 21:00 საათამდე, ხოლო 21:00 საათიდან 09:00 საათამდე ავტომომსახურების საშუალებით მიიღოს ინფორმაცია დაბლოკვის შესახებ ან მიმართოს ბანკის ნებისმიერ ფილიალს, ფილიალის სამუშაო საათებში;
- ბანკის ვებგვერდიდან: <https://online.procreditbank.ge>, 24 საათის განმავლობაში, ერთჯერადი კოდის საშუალებით, კლიენტი მოახდენს ინტერნეტ ბანკინგის მომსახურების დაბლოკვას. აღნიშნული ერთჯერადი კოდი, კლიენტის არჩევანის შესაბამისად, გაეგზავნება მას ინტერნეტ ბანკინგის ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან შეთანხმებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, ან თავად დააგენერირებს ინტერნეტ ბანკინგის დასაბლოკად ვალიდურ კოდს TAN-ის საგენერაციო საშუალების - დიგიპასის/მობაილ-თოქენის მეშვეობით, ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.procreditbank.ge მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად.

6. შეიცვალა „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-20 მუხლის 31-ე პუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„31. ბანკს უფლება აქვს არ მიიღოს შესასრულებლად კლიენტის ელექტრონული დოკუმენტი იმ შემთხვევაში, თუ:

- ელექტრონული დოკუმენტი არ შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას;
- ელექტრონული დოკუმენტის რომელიმე ველი შეიცავს არასწორ ინფორმაციას;
- კლიენტის მიერ არ იყო ინტერნეტ ბანკინგით გამოგზავნილი უცხოური ვალუტის გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კლიენტის მხრიდან მოხდა წინამდებარე დოკუმენტით ან ბანკის მიერ დადგენილი რომელიმე წესის დარღვევა;
- კლიენტი არ წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, როდესაც გადარიცხვა სრულდება მესამე პირის მაგივრად/სასარგებლოდ.“